

ოქმი № 5

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2008 წლის 25 ივნისის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ

საბჭოს წევრები: თ. ქაღიშივილი, რ. ბანცური, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ლ. ეფრემიძე, ხ. ინასარიძე, ვ. კოკილაშვილი, ს. სანებლიძე, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე

სათათბირო ხმის უფლებით: ნ. ფარცვანია (ინსტიტუტის დირექტორი).

საბჭოს მდივანი ლ. გოგოლაური

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. სამინისტროსთან შეთანხმებული ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცება.
2. სამეცნიერო თანამდებობების კონკურსის წესის განხილვა.
3. საკითხები საბჭოს მომავალი სხდომებისათვის.
4. სიახლეები ინსტიტუტის შენობასთან დაკავშირებით.

1. მოისმინეს ინსტიტუტის დირექტორის ინფორმაცია საშტატო განრიგის სამინისტროს მიერ შეთანხმების შესახებ.

საბჭომ დაამტკიცა საშტატო განრიგი.

2. მოისმინეს ინსტიტუტის დირექტორის წინადადებები სამეცნიერო თანამდებობების კონკურსის წესის შესახებ.

საბჭომ მოიწონა შემოთავაზებული წესი.

3. მოისმინეს წინადადებები საბჭოს შემდგომ სხდომებზე განსახილველი საკითხების შესახებ: ინსტიტუტის საპატიო წევრების არჩევის პროცედურის განხილვა, ინსტიტუტის სამეცნიერო გამოცემების ანგარიშები.

4. მოისმინეს ინსტიტუტის დირექტორის ინფორმაცია ინსტიტუტის შენობასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ: სამინისტრომ დირექტორს აცნობა, რომ განზრახულია ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის შენობის სხვა სახელმწიფო ორგანიზაციისათვის გადაცემა, ხოლო ამ ინსტიტუტის ჩვენს შენობაში გადმოტანა. ამ ცნობამ, ცხადია, არერთგვაროვანი რექცია გამოიწვია. გამოითქვა იმედი, რომ ამ რეორგანიზაციის გარდუვალობის შემთხვევაში

- ჩვენს ინსტიტუტს დარჩება შენობის დიდი ნაწილი;

- ინსტიტუტის ამ შემჭიდროვებით დამთავრდება გაურკვეველობა ინსტიტუტის ქონებრივი მდგომარეობის საკითხში და ინსტიტუტს დაუკანონდება შენობა;

- ინსტიტუტის შემჭიდროვება სათანადოდ იქნება კომპენსირებული და გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის გასხვისებისგან შემოსული თანხებით მოხერხდება ჩვენი შენობის კაპიტალური შეკეთება.

საბჭოს თავმჯდომარე

თორნიკე ქაღიშივილი